

აქტუალიზაციის ზოგი შემთხვევა ზეპირ მეტყველებაში

ავტორი ბურჭულაძე თეა

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი, პ. ინგოროყვას 8

ელფოსტა: burchuladzeta@gmail.com

ანოტაცია

ზეპირ მეტყველებაში აქტუალიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა სპეციალური ლექსიკური ერთეულები, ანუ ლექსიკური აქტუალიზატორები. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა შემდეგი სიტყვები, სიტყვათშეხამებანი თუ გამოთქმები: **ერთიც ვნახოთ (ერთიც ვნახოთ და), გავიხედე და, კარგი ერთი, ერთი ეს, შენც ახლა, არა ბიჭო, კაი კაცო**. ხშირ შემთხვევაში ისინი პირდაპირი მნიშვნელობით არ მოიაზრება და ნაწილაკური დანიშნულებისანი არიან. ეს გამოთქმები გამოიყენება არამართო რეპლიკა-რეაქციაში, არამედ მოსაუბრის გაბმულ საუბარშიც განსაკუთრებით ხაზგასასმელი მოქმედების გამოსაყოფად. მოყვანილი ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ზეპირი მეტყველება ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა და სხვადასხვა მოდალობის შინაარსის გამოსახატავად მრავალფეროვანი სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები იჩენს თავს. ინტონაციის ამგვარი ენობრივი აქტუალიზებით მქლავნდება მოსაუბრის ემოციური გამოხატულება თქმულისადმი.

საკვანძო სიტყვები: ზეპირი სინტაქსი; სიტყვათშეხამება; აქტუალიზაცია